№ 54 14 მაისი, ოთხშაბათი 1866—1875 14 მაისი, ოთხშაბათი № 54

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მეედანზე, ეორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ქალაქის მოსამსახურე ბიჭები

ამბობენ, რომ მარტო იმერლები ქართლ-კახეთში ოცდა-ხუთ ათას ამდი არიანო, და ქალაქში იმათი რიცხვი ათი ათასზე ნაკლები არ იქნებაო.

მარტო ქალაქის მოსამსახურე ბიჭები და უბრალო შეგირდები რომ მიეიღოთ მხედველობაში და ზემომოყვანილ იმერლებს სხვა ტომისაც მიუმატოთ, გამოვა, რომ ქალაქში უკანასკნელი 15—20 ათასი მოსამსახურე და შეგირდი ბიჭები მაინც იქნება.

მგონია, ღირს, რომ ამოდენა ხალხზე საზოგადოების ყურადღება იყოს მიქცეული, რომ ამათ მდგომარეობაზე რამე ითქვას.

ვერცერთს დიდს ქალაქში ვერ ნახავთ მოსამსახურეებს ისეთს უპატრონო და ცუდს მდგომარეობაში, როგორც ჩვენში.

„თფილ-ქალაქის“ დიდებისა და სიმდიდრის ამბებით აღტაცებული ახალგაზდა იმერელი გლეხი, ხშირად აზნაურიც აიღებს თავს, გადმოაბიჯებს კორტოხსა და მობრძანდება ქალაქში. არაფერი განსაზღვრული აზრი იმას არა აქვს; არიცის, რა საქმეს შოჰკიდოს ხელი, რა გააკეთოს. ბაუგონია მხოლოთ, რომ „თფილ-ქალაქში“ დიდი შეძლება არისო, ბევრი ფულების მოგება შეიძლებაო და ამნაირად სიმდიდრის მოპოვების სურვილს ჩამოუყენია აქ.

კარგია კიდევ, თუ ვინმე ნაცნობი გაუჩნდა, გზა უჩვენა და რამე საქმე აღმოუჩინა. მაგრამ უფრო მეტებულნი ამისთანა ბედნიერებას მოკლებულნი არიან: ორი სამი მანეთი, რომელიც იმათ ჩამოჰყვათ იმერეთიდამ, გამოელიათ; დარჩენ ულუკმა-პურით, უთავ-შესაფარით, უპატრონოთ, და დაიწყეს ქუჩებში ხეტიალი. ქალაქის მცხოვრებელნი კარგათ იცნობენ იმერელ ხამ ბიჭებს, სტაცებენ ხელს, მიჰყავთ შინ და მოჯამაგირეთ იყენებენ. ახლა იწყება იმათი გასაცდელი: შეუკრავენ პირობას, რომ სამი ან ოთხი წლის განმავლობაში იმას უფლება არა აქვს მოშორდეს ალს, რომელიც წელიწადში ორსამ თუმანს აძლევს და ხშირად იმასაც მოუჭრის, თუ რამე მიზეზი უპოვნა: თუ თეფშები გატეხეო, თუ სტაქნები დაიკარგაო, თუ სამოვარი გააფუჭეო და სხვა ამგვარები, რომელსაც დახელოვნებული ალა ყოველთვის ბლომათ მონახავს.

ბოლოს ამ ალას შორდება, შორდება ისეთივე ჯიბე-ცარიელი, როგორც პირველად იყო. ახლა იწყება ახალი, უკეთესი ალის ძებნა, ხელმეორეთ ხეტიალი ქალაქის ქუჩებში და გაჭირვება. მომეტებულ შემთხვევაში, მეორეც და მესამეც ამისთანა ალა შეხვდება....

[illegible] მას; ახლა კი ჰხედავს, რომ ამ დალოცვილ „თფილ-ქალაქში“ სრულებით ისე ადვილი არ ყოფილა ფულების შეძენა, როგორც ეგონა.

იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ეპყრობიან ზოგიერთი ქალაქელი ალები თავიანთ მოსამსახურე და შეგირდ ბიჭებსა, მომყავს შემდეგი სურათი, რომელიც „თფილისის მოამბის“ მე 50 ნომერშია აწერილი:

„მაისის 3-ს ერთი დედაკაცი ერთი მედუქნის ილიას დუქანში შევიდა. აქ შენიშნა იმან ერთი 11 წლის ყმაწვილი, რომელიც ფეხებით იყო ჭერზე ჩამოკიდული და ასე გრძნობა, დაკრგული ეყიდა. დედა-კაცმა დაუწყო მედუქნეს თხოვა, რომ ყმაწვილი ჩამოეშვა, მაგრამ მედუქნე გაწყრა და უთხრა იმას, რომ ეს შენი საქმე არ არისო, ერთი აბაზი მომპარა და იმისთვის დავსაჯეო. დედა-კაცი გამოვარდა ქუჩაში და დაიწყო ყვირილი; შეგროვდა ხალხი; ყმაწვილს შეხსნეს თოკი და ჩამოიყვანეს. იმწამსვე პირიდამ სისხლი წასდა. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ გრძნობაში მოვიდა და ხალხმა ის მედუქნე და ყმაწვილი ორივე პოლიციაში წაიყვანა, თოკიც თან წაიღეს.“

ეს მხოლოთ ერთი შემთხვევაა, რომელიც გამოაშკარავდა; რამდენი სხვა, ამისთანა ბარბაროსული თუ არა, უმოწყალო ცემა-ტყეპა და უსამართლობა მიეყენება საწყალ ხამ ბიჭებს ზოგიერთი ალებისაგან — ამას ვინ ჩამოსთვლის, ვინ არის ამის გამკითხავი, ვინ დაიცავს ქალაქში უპატრონო ხამ იმერელ ბიჭსა?

ჩვენ ვიცით ერთი საშუალება, რომელიც, სრულებით და ყველას თუ არა, ხანდისხან და მომეტებულ ნაწილს მაინც იხსნის ამ გაჭირვებული მდგომარეობისაგან. ამ საშუალებაზე შემდეგში მოგელაპარაკებით.

ს. მესხი

დღიური

□ გასული კვირის შაბათს, მაისის 10-ს, აქაურს საზაფხულო თეატრში, ქართული სცენის მოყვარეთ მოლლიერის კომედია „სკაპენი“ წარმოადგინეს. წარმოდგენამდი ბევრისაგან გავიგონეთ, რომ „სკაპენი“ ისეთი კომედია არისო, რომლის წარმოდგენა ჩვენში არ მოხერხდებაო, სცენაზე არ ივარგებსო, უაზრო რამ არისო და სხ. და სხ. მაგრამ, როცა სცენაზე დაინახეს, მაშინ დარწმუნდნენ, რომ შემცდარნი იყვნენ. მართლაც, დიდი ხანია ამისთანა მშვენიერი წარმოდგენა ქალაქის ქართველობას არ უნახავს. პირ უთნელად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ მოთამაშეების მომეტებულმა ნაწილმა სწორეთ არტისტიულის ხელოვნებით ითამაშეს და ნამდვილი ნიჭი გამოიჩინეს. საზოგადოება, რომელიც წარმოდგენაზე საკმაოთ იყო, ალტაცებაში მოვიდა.

ამ დღეებში დაებეჭდავთ ამ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს.

□ ჩვენ გავიგონეთ, რომ ჟურნალის „ცისკრის“ გამოცემას თ. რაფ. ერისთავი ჰკისრულობს; უფ. ივ. ქერესელიძე კი ხელს იღებს თურმე ლიტერატურაზე. ამას და მომავალ გამომცემელს, როგორც შევიტყეთ, მთავრობისათვის ამ საქმის თაობაზე ქალალდი მიუციათ.

□ ოზურგეთიდამ გვატყობინებენ, რომ გასული აპრილის დამლევს ჭუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების ზედამხედველს — უფ. ტროიეს ზურიის შკოლები დაუვლია და განსაკუთრებით მოსწონებია: ნიგოითის, ლანჩხუთის, ჩიბათის, ჯურუ- [illegible] მელნიც ყველა თ. ანტონ ნაკაშიძის საქებურის მეცადინეობით არიან გახანილნი. აგრეთვე მოსწონებია ბახვის სასწავლებელი, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის ხარჯით არის გამართული. უფ. ტროიეს, როგორც გვწერენ, დიდი მადლობა გამოუცხადებია თ. ანტონ ნაკაშიძისთვის ამისთანა კეთილის და საზოგადო საქმის თანაგრძნობისა და შემწეობისათვის და უთხოვნია, რომ შემდეგშიაც არ მოაკლოს სახალხო განათლების საქმეს თავისი შემწეობა.

□ ამბობენ, რომ ოსეთის ზოგიერთ სოფლის საზოგადოებათ სურ-

ფელეტონი

სოლომონ დოდაევი

ბაზეთის „დროების“ მე-50 №-ში მე წავიკითხე უფ. რედაქტორის მოწინავე სტატია, რომელშიაც ის, სხვათა შორის, ამბობს, რომ დოდაევზე და იმის გამოცემულ გაზეთზე, 1832 წელს, ამის მეტი არა ვიცით რაო, და ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ვინც იცის, იმას შეეტყობინებინა რამეო.

რადგან ღრმათ თანაუგრძნობ უფ. მესხის ამ გვარს სურვილს, მე მ'ურს მოვიყვანო აქ რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობები ამ პირზე და იმისაგან გამოცემულს გაზეთზე: „ტფილისის უწყებანი“.

სოლომონ დოდაევი იყო ქიზიყელი ქართველი. ის დაიბადა სოფელს მაღაროში, რომელიც 4 ვერსით არის მოშორებული სიღნაღის ქალაქისაგან. ეს დოდაევი იყო შვილი ივანე მღდელისა, რომელსაც ჰყვანდა ხუთი შვილი.

სოლომონ დოდაევი მამამ მისცა რუსის სასწავლებელში და როცა იმან შეასრულა საშუალო სასწავლებელი, მერე შეეიდა პეტერბურღის უნიეერსიტეტში. დოდაევი იყო პირველი ქართველი, რომელმაც რუსეთის უნიეერსიტეტში სახელოვანად კურსი შეერულა, და დიმსახურა საზელი როგორც რუსულს ლიტერატურაში, ეგრეთვე ქართულშიაც. აი, იმისი თხზულებები:

1) „ლოღიკა“, გამოცემული 1827 წელს. ეს არის დაწერილი რუსულს ენაზე. ამ დროს რუსეთს ამაზე კარგი ლოღიკა არა ჰქონდა. ამისათვის დოდაევი არამც თუ აქო რუსეთის ლიტერატურამ, არამედ მიიღეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოთაც იმის ლოღიკაცა. ამ ლოღიკით დოდაევის სახელი განთქმული იყო რუსეთის პედაღოღიურს ლიტერატურაში.

2) ეს წარჩინებული კაცი რუსეთიდგან რომ დაბრუნდა თავის სამშობლოში — საქართველოში, მთავრობამ თფილისის სახალხო შკოლაში ქართული ენის მასწავლებლობის თანამდებობა მისცა. ამ მასწავლებელობის დროს იმან დასწერა „მოკლე ქართული ღრამატიკა“. ამ ღრამატიკას ასწავლიდნენ მაშინდელს თფილისის სახალხო შკოლაში, რომელიც ეხლა კლასიკურ გიმნაზიად არის გადაკეთებული. ის არის გამოცემული თფილისში 1830 წელს.

3) ბაზეთი „ტბილისის უწყებანი“. ამის გამოცემა დოდაევმა დაიწყო 1832 წელს და რედაქტორიც თვითონვე იყო. თვეში ორი №-რი გამოდიოდა და თითო №-რი შეიცავდა სამს საწერ ქალალდის ფურ-

ვილი გამოუცხადებიათ და არტელის წესით ყველის ქარხნების გამართვას აპირებენო. როგორც გვითხრეს, ამ საქმეს ჩვენი ნასწავლი მეყველე უფ. ნ. ახლელდიანი კისროლობსო.

□ ბაზ. „კაეკაზში“ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ჭუთაისის ღუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ფლასტოვი, საკუთარის თხოვნისამებრ, ავათმყოფობის მიზეზით, დაითხოვება ამ თანამდებობისაგან და დაინიშნება კავკასიის ნამესტნიკთან.

□ საჩხერიდამ გვაცნობებს უფ. სხვიტორელი, რომ თ. რ. წ—ის მამულში, სოფ. ქორბოულს, წვიმის შემდეგ უნახავთ მიწაში ჩამდგარი თავდახურული ქოთნები და ერთი ქვაბი, რომელიც იქაურ გლეხებს ამოულიათ. ბლეხებს, რომელთაც ეს ქოთნები უნახავთ, სოფლის სასამარლოში ერთი ძველი რალაც მანათი და მძიეები წარუდგენიათ და უთქვამთ, რომ ამის მეტი იმ ჭურჭლებში არა იყოროო. რადგანაც არხეოლოგიისთვის, არა თუ ფული, ძველი უბრალო ნივთიც დიდი საუნჯე არის, ამისგამო ადგილობრივი მთავრობა დიდ ვალს დასდებს ჩვენს ისტორიასა, განკარგულება რომ მოეხდინა, ნახული ნივთები მოეგროვებინა და სადაც რიგია, წარედგინა.

□ პიტერბურლის გაზეთებში დანილი დეპეშა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ მაისის პირველს დაწყებულა ექიმობის კურსი იქაურს მადნის წყლებზე. თუმცა გზა ჯერ ოფიციალურად არ არის გახსნილი, მაგრამ ამ 1 მაისს როსტოვი-ფლადიკავკაზის რკინის გზით პირველად წაუყვანიათ პასაჟირები როსტოვიდამ. პიატიგორსკამდი ოცი ვერსი აკლია თურმე რკინის გზის გაკეთებას. მეორე კლასის ალაგი 43 მანეთად ღირს, მესამესი—28 მანეთად.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

სამეგრელო, 7 მაისს

ათასჯერ მაინც თქმულა, რომ არიან ჩვენში ისეთი ჩვეულებები, ისეთი რწმუნებები და ზღაპრები, რომლებიც ცხადათ გვიხატავენ იმ ძველი ხალხების გავლენას ჩვენ ხალხზე, რომელნიც სხვა და სხვა დროს ჩვენში ყოფილან. ამისთვის ძრიელ სასარგებლოდ მიგვაჩნია შეკრება ჩვენი ხალხის ჩვეულებების, ცრუმორწმუნებების და ზღაპრებისა; ესენი დიდ სარგებლობას მოუტანენ ჩვენი ხალხის ისტორიის მწერალს.

ამ აზრის მქონე ვგზავნი შემდეგ ჩვეულებას მეგრელების ცხოვრებიდგან.

ალებ-ლამის წინა ხუთშაბათს სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხებში იციან შემდეგი ჩვეულება, რომელსაც „კაპუნობას“ ეძახიან. ეს ჩვეულება მდგომარეობს იმაში, რომ თითო მოსახლე კაცს ჰყავს ამ დღისათვის დიდი ხნიდგან ნასუქი ღორი, რომელსაც დაკლენ ოთხ-შაბათს საღამოს. ამ ღამეს მოხარშვენ სულ ერთათ და დადებენ ჩელტზე. დილით ადგებიან ადრე, დაიწყობენ დიდ თეფშზე და დაუნთებენ აქეთ-იქით სანთელს.

მერმე ადგება ოჯახის უფროსი კაცი და ილოცავს რალაცა სხვის გაუგებრათ; სხვები კი ამბობენ: ღმერთო დიდებულო და კაპუნო ძრიელო, გვაცოცხლე, ბედნიერათ გვაცხოვრე, ნუ მოგვიშლი თქვენს მოწყალებას და შემწეობას, რომ მომავალშიაც გადიდოთ. ეს ლოცვა ვისაც ღვინო ექნება მარანში შესრულდება და ვისაც არა, ის კი შიგ საოჯახო სახლში აოასრულებს. ამის მყოფნი და შეექცევიან მსუქან ღორის ხორცს.

ხუთშაბათიდგან მოკიდებული კვირას საღამომდის უნდა გაათაოს ძალა უნებურათ.

საიდგან წარმოსდგება ეს ჩვეულება, ან და ეს სიტყვა „კაპუნა“, თვით ამათაც არ იციან, მხოლოდ თავის ძველებურ მხეცურ და უგნურ ჩვეულებას ბაძვენ, რაოდა, ჩვენი მამა-პაპა ასრე შვრებოდაო და ჩვენც ის უნდა ვქნათო.

ნეტა სხვა კარგ საქმეში ბაძავდნენ ეხენი იმათ, ის უფრო სასიამოვნო იქნება. ამ ჩვეულების მოსპობა, როგორც უბრალო, ხალხის დამღუპავი ხარჯისა, განიძრახა აქაურმა მთავარმაო, მაგრამ მოუხერხებელი შეიქნაო მაშინ; რადგანაც მაშინდელი ხალხი უფრო გაუგებარი იყო, ვინემ ახლანდელი, მაგრამ ახლა მაინც მგონი დრო არის, რომ ხალხი მიხვდეს თავის ნაკლულევანებას და თავი დაანებოს ამგვარ უთავბოლო ხარჯს, რომლით, ცოტა არ იყოს, ბედნიერება შეეძინებათ...

ყოველ დღე და ყოველ წამში გვესმის ჩვენებური გლეხებიდგან საჩივრები სიღარიბეზედ, რომელიც მას მოსდის ამგვარი უთავბოლო ხარჯიდგან. ხალხს სიღარიბიდგან თავის დახწევა არ შეუძლიან იქამდინ, სინამ იგი თავს არ დაანებებს ამაებს (?) და როცა ამეებისაგან განთავისუფლდება ხალხი და ცოტა არ იყოს სწავლას შეუდგება, მაშინ იგი შეიქნება ბედნიერი ყოველივე სიკეთით.

აი, თუნდ ანგარიში, თუ რამდენი ხარჯი მოუვა საზოგადოებას კაპუნობას. აქაური საზოგადოება შედგება ოთხასი თუ ხუთასი კომლიდგან მაინც, სადაც თითო მოსახლემ უნდა დაჭკლას ერთი ღორი ღირებული ორი მანეთი მაინც. ამგვარად ერთი საზოგადოების მცხოვრებლები სამ დღეს შესჭამენ ათასი მანეთის ღორს; ამასთან არ ვანგარიშობთ იმას, თუ რამდენი სხვა ხარჯი მიადგება ამ დღეებში ამათ.

ამგვარი უბრალო ხარჯი ორჯერ-სამჯერ მაინც ექნებათ ჩვენებურ გლეხებს.

ვიმეორებ, სასარგებლოთ დაურჩება გლეხებს რომ ამგვარ კაპუნობას თავის ნარჩენით შემნახველ - გამსესხებელ კასებს გაიმართავდნენ, რომელიც მათ მომავალში მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღე ხორცს აჭმევს. მაშ რადგანაც ასეა, გირჩევ, ჩემო ძმაო, ამ სამ დღეს ხორცის ჭამა მოითმინე და შემდეგისათვის უზრუნველათ გექნება, ხორცი. ამას გარდა ისეც გექნება რასაც დღეს გულ-მოდგინეთ და დიდის ვაი-ვაგლახით ეძებ და ვერ გიპოვნია.

ეს ადვილათ მოსახერხებელია. აი როგორ: თქვენ საკაპუნო ღორი დაკლით შენ და შენმა მეზობლებმა ან და ცოცხლათ გაყიდეთ და მათში ანაღები ფულები შეაგროვეთ ერთათ და პატარა ბანკი გაიკეთეთ...

—

ანთიმოზი

რუსეთი

✠ სახელმწიფო რჩევამ დაამტკიცა სახალხო განათლების მინისტრის წარდგენილობა, რომლითაც რუსეთის კლასსიკურს გიმნაზიებში მერვე კლასსი უნდა გაიხსნას. ეს განკარგულება „მმართველობის მოამბეშია“ გამოცხადებული.

✠ კასტრომის ქალაქის წარმომადგენლებს დეპუტაცია გაუგზავნიათ პეტერბურლში, უმაღლეს მთავრობასთან სათხოვნელად, რომ ჩვენს ქალაქამდი რკინის გზა გაიყვანეთო.

✠ იუსტიციის სამინისტროში მსჯელობა არის ახლა, რომ იმ პირთ, რომელთაც სხვა და სხვა დანაშაულობისათვის სიმბირში ჰგზავნიან, სიმბირამდი მოგზაურობა შეუმსუბუქონ. როგორც ზოგიერთ რუსულ გაზეთებში იწერებიან, მთავრობას ჰსურს, რომ ქვეყითად წაყვანა დამნაშავეებისა მოსპოს და სხვაფრივაც გაუადვილოს იმათ სიმბირამდი მიწვევა.

✠ „მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებს, რომ სახელმწიფო რჩევა აპირებს ახალი კანონების გამოცემას, სასოფლო პურის მაღაზიებში პურის მოგროვების შესახებო.

✠ პეტერბურლში, მთავრობის ნება-რთვით, აპირებენ ძალე ისეთი პანსიონის კასსის გამართვას, რომლიდამაც მხოლოთ იქაური კერძო სასწავლებლების მასწავლებლებს მიეცემათ პენსია. ერთი რუსული გაზეთი ამის თაობაზე ამბობს, რომ არცერთი მოხელე კაცი არ არის საზოგადოთ ისეთი გაჭირებული და ხშირად სრულიად ულონის-ძიებო, როგორც კერძო (ანუ შინაური) მასწავლებლებიო. ამის გამო ყველაფერს, რასაც იმათ სასარგებლოთ გამართავენ, ყოველი კაცი უნდა თანაუგრძნობდესო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. მაისის პირველს (13) გახსნილა ვერსალში ნაციონალური კრების სხდომები. ამ პირველ სხდომაზედ კრებას განუხილავს დეპუტატის მოლოვსკის წინადადება, რომ-

---

ცელს. სულ გამოსულა 6 ნომერი და როგორი ყოფილა ეს გამოცემა, ამას ამტკიცებს ის №-რი, რომელიც დაბეჭდილია „დროების“ მე-50 №-ში.

იმისი გამოცემა შესწყდა ამისათვის, რომ დოდაეევი სიმბირში გაგზავნეს და იქ მოკვდა.

თუმცა ს. დოდაევს ცოლი ჰყვანდა, მაგრამ შვილი ერთის მეტი არ ჰყვანდა. ახლანდელი დოდაევები არიან იმისი ნათესავები და იმათ რომ აგვიწერონ ამ კაცის ცხოვრება, ძალიან კარგი იქნება; და თუ არ აგვიწერენ, ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ ის იყო მამულისა შვილი, რომ იმან დაუმტკიცა ქართველებს თავისი მამაცი მალაროელების შვილობა. დიახ! ეს სოლომონ დოდაევი იმ მალაროელების შვილია, რომელნიც მე-XVI და მე-XVII საუკუნოებში მთელი კახეთის თავისუფლების წარმომადგენელნი იყვნენ. რადგან მალაროელებს ძლიერ უყვარდათ თავისი სამშობლო და მისი თავისუფლებისათვის თავგადადებულნი იყვნენ, ამისათვის კახეთის მეფეებს მალაროში ჰქონდათ საზაფხულო სასახლე; აქ იკრიბებოდნენ სახელმწიფო საქმეებზე სათათბიროდ: აქ გადასწყვიტეს მეფე ვახთანგმა მე-VI-მ და იმამ ყული-ხანმა, რომ კადნიერებისათვის დაღესტანი დასაჯონ; მაგრამ კახეთის მეფე იმამ-ყული-ხანი მოკვდა და ეს განზრახვა 1721 წელს ამით მოიშალა. ამ მალაროელების მამაცობით მამისა და ძმის მკვლელი კონტანტინე 1605 წელს დაამარცხა დედოფალმა ქეთევანმა. მართლაც ამ დროს ეს მალაროელები ისრეთნი მბრძოლნი იყვენ, რომ სპაისეთიდგან მეფედ მოსული ქეთევან დედოფლის შვილი თემურაზი ერთმა მალაროელმა გლეხმა დაჰპატიჟა, იტუმრა როგორც მეფეს ეკადრებოდა და საქართველოს თავისუფლებისათვის, როგორც ამბობს კახეთის ცხოვრებაში ვახუშტი, 114 გვ: „უძღვა ცხრა წულნი აკუნი“ და ასრე უთხრა „ბატონო მეფეო, განძვინებული მეფე სპარსეთისა აბაზი ჩვენ გვაწუხებს, ამისათვის რომ ცოტანი ვართ; მაგრამ კეთილიმც იყოს თქვენი მეფობა: დედოფალმა ქეთევანმა კახეთი განათავისუფლა შაჰ-აბაზისაგან და ახლა თქვენ გმართებთ მისი დამარცხება, და აი ამ მტრის დასამარცხებლად მე თქვენ გიძღვნით აკენით ცხრას ჩემს უსუსურს ბოგშვებსო“.

აი, ამ გვარნი იყვენ მალაროელები, რომელთა შორის დაიბადა სოლომონ დოდაევი და სხვა დოდაევისაგან გასარჩეველად დაერქო: „მალაროელი დოდაევი“.

ამ კაცის კეთილად მოხსენება დღეს ჩვენს ლიტერატურაში არ იქნება უსიგო და უადგილო, ამისათვის რომ იმან ეს დაიმსახურა.

ინგილო ჯანაშვილი

—

ლითაც ის თხოულობდა, რომ კრებას დეპუტატების ამორჩევა თვის დღე დაენიშნა. კრებამ უარ-ყო ეს წინადადება და მიიღო მეორე, რომლის ძალითაც საზოგადო ამორჩევებამდი დამატებითი ამორჩევები აღარ იქნება.

წინა დღეს ყველა პარტიების დეპუტატებს ცალ-ცალკე კრებები ჰქონიათ და მოულაპარაკნიათ იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ პალატაში და რა გზას უნდა დაადგენ, რომ თავიანთი პროგრამმები შეასრულონ. სხვათა შორის რესპუბლიკელებს, რომელნიც ალბერტ ბრეგის თავსმჯდომარეობის ქვეშ შეკრებილან, გადაუწყვეტიათ, რომ უნდა ეცადეთო, რომ რაც შეიძლება, ცოტა საგნები განიხილოს ახლანდელმა კრებამაო და ამნაირად მალე შეიძლებოდეს იმის დათხოვნა და ახალი კრების ამორჩევაო.

— ბამბეტტას გაზეთში („საფრანგეთის რესპუბლიკა“) ძალიან გაცხარებული სტატიაა დაბეჭდილი იმ პარიჟელი კორრესპონდენციის თაობაზე, რომელიც ინგლისურს გაზეთს Tems-ში იყო ამას წინათ დაბეჭდილი და რომელმანც პირველად დაჰყარა ხმა, რომ ევროპაში ომიანობა მოხდებაო, ბელგიის გამოისათ ბერმანია და საფრანგეთი კიდევ შეეტაკებიან ერთმანეთსაო. ბამბეტტას გაზეთი ამბობს, რომ უეჭველია, ამის დამწერი ბირჟის სპეკულიატორებისაგან მისყიდული უნდა ყოფილიყოო, თორემ ამისთანა შეუსაბამ და მოუსაზრებელ ხმებს რად გააგდებდაო. ვინ არ იცისო, რომ საფრანგეთი ამ ჟამად სრულებით არ ჰფიქრობს ომზედაო; მოვა დრო, როდესაც ის გადუხდის ბერმანიას თავის დროებით დამცირებას და დამარცხებას, მაგრამ ახლა კი იმას თავის შინაგანი საქმეები უფრო აწუხებს, ვიდრემ სხვა რამეო.

იტალია. რომის მცხოვრებლებს უდღესასაულნიათ 30 აპრილი, ესე იგი ის დღე, როდესა 1849 წელს პორტა სან-პანკრაციოსთან ბარიბალდიმ საფრანგეთის ჯარი (ღენერალი უდინოს წინამძღოლობით) დაამარცხა. რამდენიმე ათასი კაცი მისულა ამ დღეს ბარიბალდისთან სახლში, მიულოცნიათ ეს იტალიის თავისუფლებისათვის სახსოვარი დღე, და მიუტანიათ დაფნის გვირგვინი. ბარიბალდის აუღია ეს გვირგვინი და ღენერალის ავეცანასთვის დაუდგამს, რომელსაც ამ დღის გამარჯვებაში დიდი მონაწილეობა მიეღო 1849 წელს. ქალაქის გამგეობისაგან გამოგზავნილს დეპუტაციას ბარიბალდიმ შემდეგი სიტყვა უთხრა:

„იტალიის განთავისუფლება, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით, ჯერ კიდევ არ შესრულებულა. თქვენი ვალია, ისეთ ნაირად გამოზარდოთ თქვენი შვილები, რომ ჩვენგან დაწყებული საქმე იმათ, მომავალმა შთამომავლობამ დაბოლოვოს. უამისოთ, დარწმუნებული იყავით, ჩვენი შრომაც მუქთად ჩაიელის“.

ესპანია. დონ-ქარლოსის საქმე, როგორც უცხო ქვეყნების გაზეთებში იწერებიან, თან-და-თან ცუდათ მიდის. ფულები შემოლეგია და ამის გამო უჯამაგიროთ დაგდებულ ჯარში თადარიგიანობა, დისციპლინა აღარ არის თურმე. ამბობენ, ამას წინათ ერთს თავის ერთგულ ღენერალს დონ-ქარლოსმა უთხრა თურმე შემდეგი სიტყვები, რომლიდამაც უკომენტარიოთაც გაიგებს მკითხველი — თუ ბურბონების საქმე ესპანიაში როგორ მდგომარეობაში ყოფილა: „მე მგონია, რომ თუ ღმერთი არ გაერია ჩვენს საქმეში და თუ იმან არ გვიშველა, ჩვენი საქმე ცუდათ გათავდება!“ „რადგანაც მაგგვარ საქმეებში ღმერთი არ ერევაო, ამბობს ერთი გაზეთი, ამის გამო, უეჭველია, დონ-ქარლოსის საქმის აღსასრული მალე მოაწევსო.

ოსმალეთი. სტამბოლის ერთს გაზეთში იწერებიან, რომ წელს ჩვენში საშინელი სუსხიანი ზამთარი იყოო და ამისგამო ზოგიერთს პროვინციებში ძალიან ბევრი საქონელი დაიხოცაო. ამ სიცივეს დართობია უბალახობა, ასე რომ მარტო ბოსნიაში, როგორც იწერებიან, ამ მოკლე ხანში 80.000 რქიანი პირუტყვი ამოწყვეტილა.

ინგლისი. ლონდონში დაუტუსაღებიათ ხელმეორეთ იმავე ალაგას ის ყმაწვილი, რომელმანც შარშან კოროლევა მიქტორიას თხოვნა მისცა ირლანდიელი პოლიტიკური დამნაშაველების (ფენიების) განთავისუფლებაზე. მაშინ და ახლაც ამ ყმაწვილს ჯიბეში გატენილი დამბაჩა უნახეს. ექიმებს შეუმოწმებიათ, რომ ეს ყმაწვილი ჭკუიდამ შეშლილი არისო და ამისგამო ჭკუა-შეშლილების საავათმყოფოში გაუგზავნიათ.

ქრონიკა 4

ისტორია ხალხთა ცხოვრების დასაბისა

—

პირველი კაცის შექმნა და ცოდვის დასაწყისი

ქრისტიანებისათვის უძვირფასესი წიგნია დ-ბადება ანუ საღმთო წერილი. მაგრამ ეს წიგნი უფრო შესანიშნავია ჩვენ ქართველებისათვის; ქვეყნისა და კაცის შექმნაზე, კაცის პირველ მოქმედებაებზე, თემების გავრცელებაზე, იმათ ცხოვრებაზე, ზნეზე და ჩვეულებებზე ის მარტივს და ძლიერ ნამდვილს ცნობებს გვაძლევს. ამ საღმთო დაბადების თქმულობით, ღმერთმან ქვეყანა შექმნა ექვსი დღის განმავალობაში ერთის თავის სიტყვით „იქმნეს“.—

მეექვსე დღეს ღმერთმა კაცი შეჰქმნა თავის ხატად და მსგავსად, დაუმორჩილა ყველა ქმნულება, უწოდა სახელად ადამ, ესე იგი მიწიდგან აღებული კაცი და მისცა იმას ცოლად ევა. პირველნი კაცნი სცხოვრებდნენ მშვენიერს და მდიდარს წალკოტში, რომელსაც ეწოდა სახელი სამოთხე. აქ იზრდებოდნენ მშვენიერი და გემრიელი ხეხილები. აგრეთვე შიგ იყო მშვენიერი ნაკადული, რომელიც გაიყოფებოდა მრავალს ტოტებად და უფრო ამშვენიერებდა წალკოტის სიკეკლუცეს. ამ გვარს უხვიერებაში, ნეტარებაში და ბედნიერებაში სცხოვრებდნენ უმანკოდ პირველნი კაცნი. იმათ უყვარდათ ღმერთი და ღმერთი იმათ ეპყრობოდათ ისრე, როგორც შამა შვილებს. „ჰჭამეთ“ უთხრა ღმერთმა იმათ, „სამოთხის ყოველისა ხეხილისაგან; მაგრამ არამცა და არამც არა ჰსჭამოთ ხისაგან კეთილისა და ბოროტის მეცნაობისა; თუ არა და მოკვდებით.“ ამ სახით პირველ კაცთათვის ღვთისაგან იყო მონიჭებული ყოველი სიკეთე ცხოვრებისა, მაგრამ იმათ გამოიჩინეს თავის გამჩენის უმადურება. ადამმა და ევამ განსაცდელს ვერ უწინააღმდეგეს და სჭამეს აკრძალული ნაყოფი. აქ იმათ შეიტყეს თავისი დამნაშაობა და დაემალნენ ზენაარის პირს, რომელმაც ისინი სამოთხიდგან გამორეკა.

ახალი მათი ცხოვრება მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ისინი მიჩვეულნი იყვნენ მშვენიერს და ფუფუნებით ცხოვრებას. სამოთხიდგან გამოყრილ პირველ-კაცებს, ოფლითა და შრომით უნდა მოეპოვებინათ არსებითი პური. ნაცვლად უკვდავებისა იმათ ახლა წილად ჰხვდათ ჭირი და სიკვდილი; იმათმა სუსტმა ბუნებამ გამოიჩინა ცოდვისაკენ მიდრეკილება. უბედურმა ჩვენმა წინაპრებმა პირველადვე იხილეს თავიანთ შვილების ყოფა-ქცევაში სამწუხარო მაგალითები კაცის ბუნების გარყვნილებისა. ძაენმა შურისა გამო მოჰკლა თავისი ძმა აბელი.

დაბადების თქმულობით, აი ამ ორ კაცთაგან წარმოსდგნენ ყველა ხალხები. განსხვავებულმა საქმელმა, ცხოვრებამ, და განსაკუთრებით ჰაერმ იქონიეს იმათ შთამამავლობის აგებულებაზე და სახეზე გავლენა და ხალხი განსხვავდა. ნეგრები და მავრები აფრიკაში განირჩევიან სხვებისაგან თავის შავის პირის-სახით; ამერიკაში ეირგინელები და პატაგონელები წითელის პირის სახით. პატაგონელები ძალიან მაღალი ტანისანი არიან, მაგრამ ლაპლანდიელები და ბრენლანდიელები ძალიან დაბალი ტანისანი არიან, მაგრამ მაინც და მაინც კაცობრიობის სახეში ისრეთს მზგავსებას ეხვდათ, რომ შეიძლება დავასკვნათ, ხალხების ერთ წინაპრებისა ადამისაგან შთამამაველობა.

მეცნინრები ამბობენ, რომ ამ ადამის სადგური მცირე აზიაში იყოო. რადგან დაბადებაში არის მოხსენებული, რომ სამოთხიდგან ოთხი მდინარე გამომდინარებდაო (ბისონი, ბეონი, ტიღრი და ეფრატი), ამისათვის ჰფიქრობენ, რომ პირველი მდინარე სამოთხისა იყო ჩვენი ისტორიული რიონი,—ბისონი ანუ ფაზისიო, და ამისათვის უნდა ეიგულისხმოთო, რომ სამოთხე საქართველოში იყოო. მართლაც აქ არა არის რა გასაკვირი, რომ ფაზისი სამოთხის პირველი მდინარე ყოფილიყოს: დაბადებაში არის მოხსენებული, რომ იქ, საცა მდინარე ფაზისი უდის, იცის მშვენიერი ოქრო. ხოლო უწყებულ არს, რომ რიონსა და იმერეთს ეკუთვნის „ოქროს მატყლოვანი ვერძის“ ზღაპარიცა.

მაგრამ დავტოვოთ ესიები და ახლა გადვიდეთ ქართველ ხალხის პირველად საქართველოში დასახლების ისტორიის დასაწყისზე.

ინგილო ჯანაშვილი

სამართალი

ლაზარევის საქმე

—

თფილისის სამოსამართლო პალატამ გასულ კვირაში განიხილა აქაური ოლქის სასამართლოდამ აპელაციით გადატანილი საქმე ლაზარევისაგან თამამშოვის ქარვასლის ცეცხლის წაკიდების თაობაზე. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება, ე. ი. უფ. ლაზარევი დამნაშავედ იცნო იმაში, რომ იმან თამამშოვის ქარვასლას განზრახ წაუკიდა ცეცხლიო.

ნარევი

ერთს რუსულს გაზეთში სწერენ, რომ ამას წინათ რუსეთის ერთი პატარა ქალაქის პოლიციას გამოუცხადებია ადგილობრივი კორრესპონდენტისთვის, რომ დღეის უკან აღარ გაბედო არაფრის წერაო, თორემ ამაზედ მეტი აღარ შეგვიძლიანო და უმაღლეს მთავრობას მივმართავთო. ქმარა, კმარა ამდენი ჩვენი ქალაქისა და საზოგადოების ლანძღვა და მათზედ ცუდის ლაპარაკიო!...

* * *

პეტერბურლის ერთს თეატრში (ბუფფ) ერთი გამოჩენილი პარიჟელი აქტრისა და მომღერალი შჰუდიკ იყო ორი თვით მოპატიჟებული და, როგორც იწერებიან, ამ ორი თვის განმავალობაში თუ თეატრისაგან ჯამაგირით და თუ სხვა და სხვა საჩუქრებით სულ 75,000 მანეთი მოაგროვა და წაიღო პარიჟშიო.

* * *

რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც პეტერბურლის ტიპოგრაფიების ზოგიერთმა მუშებმა, ესე იგი ასოს-ამწყობლებმა და მბეჭდავებმა, გამართეს თავიანთთვის საკუთარი კასსა, რომელშიაც ყველა ამ ხელობის მუშას შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს. თითოეულ მუშას თვეში ჯამაგირის ბარობით განსაზღვრული ფული შეაქვს და დაჭირების დროს შეუძლიან საზოგადო კასსიდამ ისესხოს. გაზეთებში იწერებიან, რომ ეს კასსა ხშირად ძალიან დიდ შემწეობას აძლევს, განსაკუთრებით ისეთ მუშებს, რომელნიც ხანდისხან უსაქმოთ რჩებიან და ცუდათ დაიარებიანო.

* * *

გაზეთს „ნოვოროსსიის ტელეგრაფში“ შემდეგი ამბავია აწერილი: „ამას წინათ ფედოროვის მონასტერში, ერთი დიაკონი მოკვდა. ჯერ ყველას ეგონა, რომ ეს კაცი რომელიმე ავათმყოფობით მოკვდაო; მაგრამ შემდეგ ეჭვი აიღეს, გამოძიება დანიშნეს და ამოჩნდა, რომ დიაკონი ამ მონასტრის ბერებს მოუკლავთ ცემით. ამბობენ, ეს დიაკონი ძალიან ლვთისნიერი კაცი იყოვო. ამბობენ კიდევ, რომ, როცა საშინლად სცემეს და ლოგინზე დააწვინეს ეს დიაკონი, ბერებმა უთხრეს: „ქრისტესაგან შეყვარებულო ძმაო, ნუ გაგვცემ. შენთვის ხომ სულ ერთია: შენ სასუფეველში წახვალ!“

* * *

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ

△ Ინტენდანტის სამმართველო კავკასიის სამხედრო მაზრისა აცხადებს, რომ ივნისის 12-ს მოზდოკის ქალაქის გამგეობაში იქნება უკანასკნელი ვაჭრობა ᲕᲝᲖᲓᲕᲘᲫᲔᲜᲡᲙᲘᲡ მალაზიაში ცხენების საკვების იჯარით აღებაზე. ᲣᲜᲓᲐ მიიტანონ ქერი 3,500 ჩეტვერტი, შემდეგ ვადებზე: ამ წლის 15 ივლისის—500 ჩეტვერტი, 1 აგვისტოს—1,600 და 1 სეკტემბერს—1,400 ჩეტვერტი. (Თითო ჩეტვერტის წონა 5 ფუთი და 20 გირვანქა უნდა იყოს).

△ Ინტენდანტის სამმართველო კავკასიის სამხედრო მაზრისა აცხადებს, რომ სტავროპოლის ხაზინაში ივნისის 5-ს იქნება ვაჭრობა იმაზე—თუ ვინ იკისრებს მაიკოპის საკვები მალაზიისთვის 4210 ჩეტვერტი ქერის მოტანას ცხენების საკვებავათ. ᲘᲡ ქერი მოიჯარადრემ შემდეგ რიცხვებში უნდა წარადგინოს: 15 ივლისისთვის—800 ჩეტვერტი, 1 აგვისტოსთვის—1700 და 15 აგვისტოსთვის დარჩენილი—1710 ჩეტვერტი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4 აპრილის სახსოვრად)

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ᲚᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ᲖᲐᲠᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ და ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფობისა.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: პარჟნიცკი — ყმაწვ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვინერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ: მინკევიჩი—ხირურგიისა, პარჟნიცკი—ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ, ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: მარკაროვი და ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲣᲣ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲫᲔᲚᲝ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:

ᲙᲐᲠᲐᲙᲘ — ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ	—	50 კაპ.
ᲜᲐᲚᲔᲑᲘ— — — — —		40 —
ᲡᲛᲔᲢᲐᲜᲐ — — — —		30 —
ᲧᲕᲔᲚᲘ — — — — —		15 —
ᲢᲕᲐᲠᲝᲒᲘ, ᲮᲐᲭᲝ— — —		10 —
ᲠᲫᲔ— — — — — —		6 —
ᲛᲐᲬᲝᲜᲘ — — — — —		5 —

Სარდაფი იმყოფება ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მაღანზე, სემინარიის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

(5—1)

·ᲔᲘᲖᲘᲗᲡᲠᲐᲜᲖᲘ ᲬᲔᲡᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲗᲡᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲠᲝᲚᲘᲡ

ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲘᲡ

ᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲧᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘᲡᲬᲚᲘᲡ

გამოვიდა და ისყიდება თფილისში ექ. ხელაძის სტამბაში:

ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲣᲠᲝ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲭᲐᲚ-ᲕᲐᲭᲘᲡᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

გამოცემული

ექ. ხელაძისაგან. ჩქარა გაიგზავნება სხვა ქალაქებში: ᲒᲝᲠᲨᲘ—Თ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲗᲐᲜ. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—Მ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲗᲐᲜ (სასულიერო სასწავლებელში) და უ. სეიმონ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ. ᲚᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ თ. ᲐᲜᲢᲝᲜ ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ და ᲙᲐᲙᲐᲑᲐ ᲒᲝᲒᲒᲐᲫᲔᲡ მალაზიაში.

ᲑᲣᲮᲒᲐᲚᲢᲔᲠᲡᲐ და ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲡ, რომელსაც კარგი ეაჭრული განათლება მიუღია ᲰᲡᲣᲠᲡ ᲐᲫᲚᲘᲝᲡ ᲑᲐᲙᲒᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ ᲚᲠᲙᲔᲪᲘ ᲑᲣᲮᲒᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡᲐ (двойная бухгальтерія) იტალიურის და ინგლისურის მეტოდით—რუსულს და ნემეცურს ენაზე. ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ბანეკების, კომისიონერის, ფაბრიკის და ფინანსის ბუხგალტერიას. შეუძლია ადგილიც დაიჭიროს სადმე.

Უფრო დაწვრილებით ცნობების შეტყობა ამ საგანზე შეიძლება საკერავი მაშინების პანცერის მალაზიაში, ᲐᲢᲐᲛᲐᲜᲘᲡ ქუჩაზე, ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ სახლებში, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12-მდი.



ᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲗ პატივცემულს საზოგადოებას, რომ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ და ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲘ **ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ,** რომელიც პირველი გამოცემაა ჩვენში.

ჩვენ გვგონია ურიგო არ იქნებოდა, რომ აქამდისაც დაბეჭდილიყო ესეთი საამური საკითხავი წიგნი და ზღაპრული მოთხრობა უწინდელი გმირებისა და ფალავნების — ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲡ და ᲖᲐᲠᲓᲐᲜᲥᲔᲨᲐᲜᲘᲡ მოქმედებაები. ᲑᲔᲕᲠᲡ კი ᲰᲡᲣᲠᲓᲐ ამ საამური წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ, წიგნის სიდიდისა გამო, ვერ ᲰᲑᲔᲓᲐᲐᲓᲔᲜᲔᲜ, რადგანაც ამის დაბეჭდვას დიდი შრომა, ხარჯი და თავისუფალი დროც უნდოდა.

ჩვენ გავებედეთ ამ წიგნის გამოცემა ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სტამბის ასოს-ამწყობთ და მაშინ ᲘᲢ, Დ. ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲛᲐ და Ն. ᲙᲝᲒᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ შემწეობით.

ᲔᲡ წიგნი შეადგენს თორმეტს კარს, ე. ი. თორმეტს ნაწილს. რადგანაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ სულ ერთიანათ დაგვებეჭდა ერთ წიგნათ, ამის გამო ჩვენ ვებეჭდავთ ნაწილ-ნაწილათ, ე. ი. თითო კარს.

პირველი კარი გამოვა თუ არა ბეჭდვიდგან, შეიძლება მაშინვე გასყიდვა; და მას შემდეგ გავაგრძელებთ ბეჭდვას მეორე კარისას და აგრეთვე მესამე კარისას; ამ გვარად, ვიდრე თორმეტ კარამდის სულ ცალ-ცალკე წიგნათ გამოვა და გაისყიდება.

ᲐᲛ მოკლე ხანში, როცა „პირველი კარის“ ბეჭდვა შესრულდება, ჩვენ გამოვაცხადებთ ფასს, თუ როგორ ეღირება თითო წიგნი.

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲒᲐᲮᲣᲢᲝᲕᲐ გამოიწერა ერთი ძვირფასი ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲣᲜᲗᲥᲕᲔᲑᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲠᲚᲘᲡᲐ, რომელიც ძალიან შეელის ფილტვების და გულის ავათმყოფობას. ᲘᲡ აპარატი მოქმედობს მხოლოთ ᲰᲐᲔᲠᲘᲗ. ᲑᲔᲕᲠᲘᲡ გულისა და ფილტვების ავათმყოფობას, რომლებისაც აქამდი არ შეიძლებოდა წამლებით არამც თუ სრულიათ მორჩენა, არც შემსუბუქება, ეს აპპარატი ზოგიერთს მათგანს სულ არჩენს და ᲑᲔᲕᲠᲡ შემსუბუქებას აძლევს.

Უფ. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ ახდევინებს ავათმყოფებს თითო ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ იმ აპპარატისა—თითო მანეთს და შეუძლებლები სარგებლობენ უფასოთ.

ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲐ „ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ გამოცემული ᲐᲠᲡᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ და ამხანაგებისაგან და ისყიდება ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲛᲐᲮ-ᲐᲖᲘᲖᲝᲕᲘᲡ, ᲔᲜᲤᲘᲐᲯᲘᲐᲜᲪᲘᲡ და ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ წიგნის ძალაზიებში და უ. ᲛᲔᲤᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ სტამბაში. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲐᲜᲢᲝᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ბიბლიოთეკაში, ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ და სასული. ᲔᲠᲝ სასწავლებელში. ᲚᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ: ᲐᲜᲢᲝᲜ ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ამას გარდა ამათთანავე ისყიდებიან პაწაწინა წიგნები: ᲑᲔᲭᲐᲜᲘᲐᲜᲘ, ᲭᲐᲚ-ᲕᲐᲭᲘᲐᲜᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲘ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ და ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ, გამოცემული იმავე პირთაგან.—ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

Დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

„ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲙᲝᲜᲐ“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, შედგენილი Ი. ᲑᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

3 (3) 5

რკ. ᲒᲖᲐ.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	11	18	8					
Მცხეთა. . .	18	87	10	—	-	68	-	38
Ბორი . .	91	39	1	43	2	40	1	23
Სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
Ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
Ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ᲭᲣᲗᲐᲘᲡ. .	7	55			6	75	3	75
Სამტრედია.	9	2			7	73	4	29
Ახ.-Სენაკი.	10				8	57	4	76
Ფოთი. . .	11				9	75	5	42
Ფოთი . .	7	38						
Ახ.-Სენაკი.	9	11			1	18	-	66
Სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ .	11	17			3	4	1	69
Ყვირილნ.	12	38			3	98	2	21
Ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
Სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
Ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
Მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
Თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) Ფოთიდამ:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲙᲔᲜ—ᲝᲠᲨᲐᲑ. დილის 8 საათ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ—კვირაობით დილას.

Ბ) Სოხუმიდამ:

Ფოთს—სამშაბათს, ღამით.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ—კვირას, გათენებისას.

Ფოთიდამ:	I		II		III	
Სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ᲭᲔᲠᲩᲐᲛᲓᲘ. .	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝᲒ.	34	„	27	„	8	60
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲚᲘᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ Თფილისიდამ:	მ.	კაპ
ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲡ, Ფოთს . .	1	—
Ბორს, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲮᲡ		50
Როსტოვს ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲡ მოსკოვს	2	—
Პეტერბურგს, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲚᲘᲒᲜᲘᲗᲨᲘ, შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) Თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲡ, Რუსეთს—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓᲘᲗᲨ., ᲚᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — პარასკ და ᲝᲠᲨᲐᲑ. ᲑᲐᲥᲝᲡ — ᲝᲠᲨ. სამშაფ. და შაბ. ᲙᲐᲮᲔᲗᲡ — სამშ. და შაბ.

Ბ) ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

Თფილისისა და Ფოთისაკენ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲚᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და პარასკ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲡ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑ.

გ) Ბორიდამ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) Ფოთიდამ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲨᲘ:	კაპ
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	5
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	10

ᲑᲘᲠᲭᲐ

	მან.	კაპ
Პეტერბურგი, 9 მაისს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 33 1/16 პენსი.	—	84
Პარიჟში 348 სანტიმი.	—	89
Ესკონტი(სარგებლისფასი)	6	—
Ბანკის ბილეთი 5%	100	—
მოგებიანი(პირველისესხი)	207	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	203	—
Ბერაოს ფურცლები:		
Თფილ. საᲐᲜ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5 1/2)	88	60
მოსკოვის (5%). . . .	86	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ სავაჭრო ბანკის.	222	—
Ფოთი-Თფილ.რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
Კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
Პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
Თფილისი, 12 მაისს		
პური შორაგალის ფთ.	1	20
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ფუთი .	4	50
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ფუთი. .	6	65
ᲑᲐᲰᲔᲜᲢᲘᲚᲘ ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	50
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ფთ. .	3	60
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ნუხური გრ.	2	60
ᲭᲝᲜᲘ, ფუთი. . .	4	—
ᲭᲝᲜᲘᲡ სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ლიტ.	—	60
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	45
— ფხვნილი ფუთი . .	6	90
ᲧᲐᲕᲐ გრგვალი ფუთი .	18	50
ზეთი ᲭᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ფთ.	5	60
ᲚᲭᲝᲠ 1/2 იმპერიალი. .	5	85

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Мая 1875 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.